ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

(ააიპ ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოსა და ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს შორის)

თბილისი 05 მარტი 2014 წ.

I. მხარეები

ერთის მხრივ ააიპ „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო" (შემდგომში "ელსა" წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის **ზურაბ ბეჟაშვილის** სახით და მეორეს მხრივ ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (შემდგომში IDFI) წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი კლდიაშვილის** სახით, ვაფორმებთ მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

II. მიზანი

მემორანდუმი მიზნად ისახავს „ელსასა" და IDFI-ს ურთიერთთანამშრომლობის გზით, სხვადასხვა საკითხებთან, მათ შორის ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, გარკვეული თემების პუპულარიზაციას, საჯარო და სხვა ინსტიტუტების საქმიანობის გამჭირვალობის ხელშეწყობას, სხვადასხვა აქტივობებში სტუდენტების ჩარულობას გაზრდას, რაც გამომდინარეობს მხარეთან წესდებებიდან დებულებებიდან და სხვა რეგულაციებიდან.

III. თანამშრომლობის სფერო

ამ მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად:

- „ელსა" უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის აქტუალური პროექტების ორგანიზებას, სტუდენტების ჩართულობასა და იმ თემების პოპულარიზაციას რასაც ახორციელებს IDFI, რაც აქტუალურია და რაც არ ეწინააღმდეგება ელსა-ს მიზანსა და საქმიანობის სფეროს.
- „IDFI" უზრუნვეყოფს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იმ პროექტების დახმარებასა და ხელშეწყობას, რომლებსაც განახორციელებს „ელსა", და რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან IDFI-ს წესდებასა და საქმიანობის სფეროს, ასევე ერთობლივი პროექტების წახალისებას.

IV. თანამშრომლობის მეთოდები

მემორანდუმის მიზნების მისაღწევად მხარეები თანხმდებიან თანამშრომლობის შემდეგ მეთოდებზე:

1. „ელსა" აცხადებს მზადყოფნას, დახმარება და პუპულარიზაცია გაუწიოს IDFI-ს ჩატარებულ ღონისძიებებში სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობას.
2. IDFI აცხადებს მზადყოფნას დაეხმაროს ყველანაირი ინტელექტუალური რესურსით „ელსა"-ს საკუთარ კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩატარებულ ღონისძიებებში და ხელი შეუწყოს სტუდენტების დატრეინინგებასა და გადამზადებას.
3. მხარეთათვის აქტუალური თემების ირგვლივ, საზოგადოების სამართლიანი ინტერესიდან გამომდინარე მხარეები იღებენ ვალდებულებას რეფორმების გამჭვრივალეობისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით აქტიურად ითანამშრომლონ მრგვალი მაგიდის ფორმატში.

V. ზოგადი დებულებები

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მის წერილობით შეწყვეტამდე.

2. მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტის მიზეზები მემორანდუმის შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე.
3. მხარეთა შორის ყველა ოფიციალური მიმართვა, უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით ან ელექტორნული ფოსტის საშალებით ოფიციალურ საკონტაქტო მისამართზე
4. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძელზე წერილობითი ფორმით.
5. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მოქნე ეგზემპლარად, მხარეთათვის გადასაცემად.

VI. მხარეთა რეკვიზიტები

ააიპ „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო“

ს/კ - **205 279 090**
0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ, N3
ტელ.: 574 51 78 78
www.elsa.ge
e-mail: info@elsa.ge

/ზ. ბეჟაშვილი/

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“

ს/კ - **204569617**
0108 თბილისი, ა. გრიბოედოვის ქ. N3
ტელ.: +995 322 12 15 14
www.idfi.ge
e-mail: info@idfi.ge

/გ. კლდიაშვილი/